ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა **N81**

2022 წლის **27** დეკემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N164-ში მდებარე უძრავ ქონებაში პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული 29.48 კვ.მ საერთო ფართის ბინა (ს/კ N20.42.05.270.01.506), შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი